# საექსპერტო დასკვნა

## ქ.თბილისი. ლერწმის ქუჩა №1. (ს.კ. 01.17.14.003.684) ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

საექსპერტიზოდ წარმოდგენილია ქ. თბილისში, ლერწმის ქუჩა №1.(ს.კ. 01.17.14.003.684) ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები, შენობის მზიდი კონსტრუქციის, როგორც ერთიანი ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშება და აგრეთვე კორექტირებული პროექტის არქიტექტურული ნაწილი.

კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია შპს "ლირას" მიერ. ქალაქის სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით სამშენებლო მოედანი განეკუთვნება 8 ბალიან ზონას, ქარის ნორმატიული სიჩქარე - 37მ/წმ, ქარის ნორმატიული დაწოლა - 85 კგ/მ$^2$. თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50კგ/მ$^2$.

საპროექტო შენობა ათსართულიანია, გააჩნია პარკინგის სართული. გეგმაში სწორკუთხა მოხაზულობისაა, ზომებით 17.30X30.00მ. (ღერძებში).

პროექტის მიხედვით შენობა ბურღვით-ნატენი რკინაბეტონის ხიმინჯებით ეფუძნება ძირითად, ქვიშაქვებისა და არგელიტების მორიგეობას, IIს.გ.ე.(ფენა №3), რომლის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები შემდეგია: სიმტკიცის ზღვარი *Rc=110კგძ/სმ2; სიმკვრივე ρ= 2.41 გრ/სმ³; შიგა ხახუნის კუთხე φ= 27°; დეფორმაციის მოდული E=22000გძ/სმ2; ხვედრითი შეჭიდულობა C=1.0კგძ/სმ²;*
მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა ჩატარებულია შ.პ.ს. "გეოგემა'-ს მიერ.

სამშენებლო ტერიტორია ოდნავ დამრეცია, ქვაბულის ფერდები სამი მხრიდან ბუნებრივი ქანობებითაა გათვალისწინებული და შესაბამისად არ ითხოვს დამატებით გამაგრება-გაძლიერებებს, მეოთხე მხარე კი გამაგრებულია ხიმინჯების მწკრივებით.

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოკავშირებიანი სივრცული სისტემა. სვეტების განივკვეთის ზომები 50X50სმ. და 40X40სმ-ია მათი გეგმაში შესაბამის მალებში განლაგების მიხედვით და უცვლელია შენობის მთლიან სიმაღლეზე. სვეტებში პროექტით გამოყენებულია **B25** კლასის მძიმე ბეტონი და **A500C** კლასის გრძივი არმატურები, ცალუღები **A240C** კლასის. მონოლითური რკინაბეტონის სვეტების არმირების სქემები ცალკე სართულების მიხედვითაა დამუშავებული, რაც ადვილი წაკითხვადია მშენებლებისათვის.

სართულშუა გადახურვები ხორციელდება მონოლითური რკინაბეტონის რიგელებითა და ფილებით. რიგელების განივკვეთის ზომები მათი გეგმაში განლაგებების შესაბამისად სხვადასხვაა: 40X40სმ; 40X50სმ; 30X50სმ და 20X40სმ. რიგელებში პროექტით გამოყენებულია **B25** კლასის მძიმე ბეტონი და **A500C** კლასის გრძივი არმატურები, ცალუღები **A240C** კლასის. მონოლითური რკინაბეტონის რიგელების არმირების სქემები თითოეულ კონკრეტული რიგელისათვის ცალკე ნახაზებადაა დამუშავებული და ასევე ადვილი წაკითხვადია მშენებლებისათვის.

სართულშუა გადახურვების ფილის სისქე პარკინგის სართულის თავზე შეადგენს 200მმ-ს. დანარჩენი სართულშუა გადახურვის ფილები 160მმ. სისქისაა. ფილებში პროექტით გამოყენებულია **B25** კლასის მძიმე ბეტონი და **A500C** კლასის მუშა არმატურები, ბადეების შემკრავები **A240C** კლასის. ფილების ანალოგიურადაა დაპროექტებული ორივე კიბის უჯრედიც. შენობას სეისმიური დატვირთვების მისაღებად გააჩნია მძლავრი რკინაბეტონის დიაფრაგმები, რომლებიც ძირითადად განლაგებული არიან სიმეტრიულად. ლიფტის შახტა ბეტონის ბლოკების წყობითაა გათვალისწინებული, რომლებიც სართულშუა გადახურვების შუა დონეზე მონოლითური რკინაბეტონის სარტყლებითაა გაძლიერებული. გარე კედლები (კარკასის შევსება) და ტიხრები გათვალისწინებულია მსუბუქი ბეტონის ბლოკებისაგან, პროექტში ნათლადაა განხილული წყობის გაძლიერებების კვანძები და მათი რკინაბეტონის ელემენტებთან მიერთების დეტალები. ასევე დეტალურადაა დამუშავებული სახურავის პარაპეტის ბლოკის წყობის რკინაბეტონის გულარებითა და სარტყლით გაძლიერების ნახაზები.

პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე თავის დროზე გაკეთებული იყო კონსტრუქციული დასკვნა, რომელიც მას დადებით შეფასებას აძლევდა და რეკომენდაციას უწევდა დასამტკიცებლად.

პროექტის კორექტირების შედეგად შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქცია, მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოკავშირებიანი სივრცული სისტემა თითქმის უცვლელი დარჩა. განიცადა შემდეგი ცვლილებები:

1. 28.20 ნიშნულის სართულშუა გადახურვის დონეზე “1*”-“3” ღერძებს შორის და “3” ღერძიდან “4” ღერძისკენ 1300 მმ-ის მანძილზე და მეორე მიმართულებით “ა’-“ბ” ღერძებს შორის და “ბ” ღერძიდან “გ” ღერძისკენ 2685მმ-ის მანძილზე არსებული რკინაბეტონის რიგელების ბადე შეივსო მონოლითური რკინაბეტონის ფილით, სისქით 160მმ. საერთო ფართი-75მ$^2$, ანალოგიურად დანარჩენი სართულშუა გადახურვის ფილებისა.
2. 28.20 ნიშნულის სართულშუა გადახურვის დონეზე “6”-“7” ღერძებს შორის და მეორე მიმართულებით “ბ’-“ბ*” ღერძებს შორის ჩამატებული იქნა 5.5მ$^2$-ის მონოლითური რკინაბეტონის კონსოლური ფილა მონოლითური რკინაბეტონის რიგელებით, ანალოგიურად ქვედა სართულშუა გადახურვების ფილებისა, იხილეთ 3.00; 6.15; 9.30; 12.45; 15.60; 18.75; 21.90; 25.05; ნიშნულის ფილები.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებები შესაბამისობაში შეტანილი იქნა შენობის ადრე არსებულ საანგარიშო მოდელში,

რომელიც განხორციელებული იყო სასრულ ელემენტთა მეთოდით, ЛИРА-САПР 2013 R3-ის გამოყენებით, სამშენებლო ნორმები და წესები “სეისმომედეგი მშენებლობა”(პნ 01.01–09) გათვალისწინებით და მოხდა ახლად გაანგარიშება.

გაანგარიშების შედეგების შესაბამისობაში გაკორექტირებულია ადრე არსებული კონსტრუქციული პროექტის ის ადგილები, რომელთა აუცილობლებობებიც წარმოიშვა.

უნდა აღინიშნოს მთლიანი პროექტის კორექტირების ნაკლებად მასშტაბურობა და როგორც მოსალოდნელი იყო იგი მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენდა შენობის მზიდუნარიანობაზე, რასაც ადასტურებს კიდეც შენობის ხელმეორედ გადაანგარიშების შედეგები, უცვლელი რჩება გაანგარიშების ისეთი მახასიათებლები, როგორიცა გადაადგილებები, ჩაღუნვები, შინაგანი რხევის პერიოდი და სხვა, ადრინდელი გაანგარიშებასთან შედარებაში.

შენარჩუნებულია საექსპერტოდ წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესრულების კარგი დონე, როგორც შინაარსობრივად, ისე გაფორმებით, პროექტით გადმოცემული ინფორმაცია არის სრული და ადვილად აღსაქმელი.

## დასკვნა

**ზემოთთქმულიდან გამომდინარე ქ. თბილისში, ლერწმის ქუჩა №1. (ს.კ. 01.17.14.003.684) ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება და რეკომენდაცია დასამტკიცებლად.**

ექსპერტი,

ინჟინერ-კონსტრუქტორი  ილია მეხრიშვილი

iloko46@yahoo.com

595-14-60-72

03.09.2020წ.


Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ილია
ILIA
გვარი / LAST NAME
მეხრიშვილი
MEKHRISHVILI
მოქ. / CIT
სქესი / SEX
პირადი № / PERSONAL №
GEO
მმ / M
01017032002
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
19.07.1959
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
15.08.2024
ბარათის № / CARD №
13IF46007
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
15.08.2014
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE013IF46007401017032002<<<<
5907193M2408150GEO<<<<<<<<<<<4
MEKHRISHVILI<<ILIA<<<<<<<<<<<<


დიპლომი
ЖВ № 187451
ეს დიპლომი მიეცა მეხრიშვილს ილია გიორგის ძეს
მასზე, რომ იგი 1976 წელს შევიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის
და 1981 წელს დაამთავრა
სრული კურსი სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1981 წ. „8" 07 გადაწყვეტილებით
ი. გ. მეხრიშვილს მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის
კვალიფიკაცია.
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე
რექტორი
მდივანი
ბ. ა.
ქალაქი თბილისი 1982 წ. „29" I
სარეგისტრაციო № 11277
Грузинский яз.
ДИПЛОМ
ЖВ № 187451
Настоящий диплом выдан Мехришвили Илье Георгиевичу
в том, что он в 1976 году поступил в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина
и в 1981 году окончил полный курс названного института
по специальности промышленное и гражданское строительство
Решением Государственной экзаменационной комиссии „8" 07 1981 г.
Мехришвили И.Г.
присвоена квалификация инженера-строителя
Председатель Государственной экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь
М. П.
Город Тбилиси „29" I 1982 г.
Регистрационный № 11277
Московская типография Гознака. 1979.

# CURRICULUM VITAE (CV)

| | |
|---|---|
| პროფესია | ინჟინერ-კონსტრუქტორი |
| სახელი, გვარი | ილია მიხრიშვილი |
| დაბადების თარიღი | 19 ივლისი 1959 |
| დაბადების ადგილი | ქ. თბილისი |
| მოქალაქეობა | საქართველოს მოქალაქე |

**განათლება:**
უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, სპეციალობა

სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

**სამუშაო გამოცდილება:**

| პერიოდი | დამსაქმებელი ორგანიზაცია და თქვენი თანამდებობა. საკონტაქტო ინფორმაცია | ქვეყანა | აღწერეთ თქვენი მოვალეობები |
|---|---|---|---|
| 1981-1985 | "საქსოფლმშენსახპროექტი" ინჟინერ-კონსტრუქტორი | საქართველო | პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ანგარიში და დამუშავება |
| 1985-1989 | სახლმშენებელი კომბინატი № 5 ტექნიკური განყოფილების უფროსი | საქართველო | პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა. |
| 1989- 1995 | "თბილქალაქპროექტი" ინჟინერ-კონსტრუქტორი | საქართველო | პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ანგარიში და დამუშავება. მშენებლობაზე საავტორო ზედამხედველობის განხორციელება. |
| 2008-დღემდე | შპს "არტსტუდიო პროექტი" ინჟინერ-კონსტრუქტორი | საქართველო | პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ანგარიში და დამუშავება. მშენებლობაზე საავტორო ზედამხედველობის განხორციელება. |

**ენები (მიუთითეთ მხოლოდ ის ენები, რომელშიც შეგიძლიათ მუშაობა)**
რუსული

ინგლისური

კომპიუტერული პროგრამები Word; Excel; PowerPoint; AutoCAD; ArchiCAD; ПК ЛИРА; МОНОМАХ; E-mail; internet;


**საკონტაქტო ინფორმაცია:**

მისამართი: ქ. თბილისი ე. ტატიშვილის ქ.№18

ტელეფონი: 599 14 60 72

E_mail: iliko46@yahoo.com